

საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სოციალურ საფუძვლებს, პრივატიზების განხორციელების ძირითად პირობებს და უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენის პროცესს. კანონის მიზანია უზრუნველყოს ისეთი საკუთრებითი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტური, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის განვითარებას.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) "სახელმწიფო ქონება" - საწარმოები, ამ საწარმოთა ქვედანაყოფები, რომელთა გამოყოფა შეიძლება დამოუკიდებელ საწარმოებად; ლიკვიდირებას დაქვემდებარებული ან უკვე ლიკვიდირებული საწარმოების ან მათი ქვედანაყოფების შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები, სხვა მატერიალური და არამატერიალური აქტივები; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციები, წილი;

ბ) "პრივატიზება" - ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენა, რის შედეგად სახელმწიფო კარგავს პრივატიზებული ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის, ხოლო სახელმწიფო ორგანოები - მისი მართვის უფლებებს.

Law of Georgia on State Property Privatisation

The present Law determines legal, economic, organisational and social principles, as well as the basic terms of privatisation of state property of Georgia and provides the purchase of property owned by the state by physical or legal persons or their unions. The objective of this Law is to establish proprietary relations, promoting to the development of the effective and socially oriented market economy.

Chapter I. General Provisions

Article 1. Definitions used in this Law:

Definitions used in this Law have the following meanings:

a) "State property" means enterprises or their subsidiaries, which can be separated as independent enterprises, buildings, constructions and facilities being in the property of enterprises liable to liquidation or liquidated by now, or of their subdivisions; other material or non-material assets, state-owned stocks, share.

b) "Privatisation" means the purchase of property right on the state-owned property by physical or legal persons or their unions, as a result of which the state loses right to own, use and dispose the privatised property, and state bodies – the right to manage it.

**მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა
სახელმწიფო ქონების პრივატიზების
შესახებ**

1. საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსის, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე. ეს კანონი არ აწესრიგებს მიწისა და სახელმწიფო საბინაო ფონდების პრივატიზების საკითხს.

2. სახელმწიფო ქონების მყიდველი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (გარდამავალ პერიოდში - მმართველობის ადგილობრივი ორგანოს) მონაწილეობის წილი 25% - ზე ნაკლებია.

მუხლი 3. სახელმწიფო ქონების პრივატიზების განხორციელების და მართვის ორგანო

1. სახელმწიფო ქონების მართვასა და პრივატიზებას ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.

2. ავტონომიურ რესპუბლიკებში იქმნება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შესაბამისი დასახელების ორგანოები, ხოლო რაიონებში და ქალაქებში - მისი შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფები.

3. საქართველოში პრივატიზების ერთიანი პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად სამინისტრო:

ა) არის სახელმწიფოსგან უფლებამოსილი სახელმწიფო ქონების მესაკუთრე, რომელიც უფლობს, განკარგავს და მართავს სახელმწიფო ქონებას;

ბ) აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით შეიმუშავებს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს პრივატიზების განხორციელების ერთიანი გეგმის პროექტს ეროვნული მუერნობის ცალკეულ დარგების მიხედვით, მათი თავისებურებების გათვალისწინებით, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში

Article 2. Georgian Legislation on State Property Privatisation

1. State property privatisation is carried out in Georgia on the basis of the Constitution of Georgia, the Civil Code, the present Law and other legislative acts and by-laws. This Law does not apply to privatisation of land and living space owned by the state.

2. Any physical or legal person, citizen of Georgia or a foreign country, can be the purchaser of state property if the share capital owned by the State of Georgia or by the institutions of local government (local authority - during transitional period) in his property forms less than 25 per cent.

Article 3. Management Body of State Property Privatisation

1. Management and privatisation of state property is carried out by the Ministry of State Property Management of Georgia.

2. Bodies with corresponding titles are formed in autonomous republics, and their structural subdivisions - in regions and towns.

3. In order to carry out unified privatisation policy in Georgia, the Ministry:

a) Is entitled by the state to own, manage and dispose state property;

b) In agreement with the corresponding bodies of the Executive and other state bodies, works out and submits to the President of Georgia for approval the project of a unified privatisation program by separate branches of national economy, taking into consideration their peculiarities and amendments and addenda to be made;

მასში შესატან ცვლილებებს და დამატებებს;

გ) მეთოდურად და ორგანიზაციულად ხელმძღვანელობს და აკონტროლებს პრივატიზაციის პროცესს სახელმწიფოში, გამოავლენს ამ სფეროში კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებსა და ფაქტებს, იღებს ზომებს მათ აღმოსაფხვრელად.

4. სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და მის ტერიტორიულ ორგანოებს შეუძლიათ იმოქმედონ თავიანთი წარმომადგენლების (რწმუნებული პირების) ან შუამავლების მეშვეობით.

5. სახელმწიფო საკუთრების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას ამტკიცებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან, სხვა შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმების საფუძველზე. სახელმწიფო მუნიციპალური დაქვემდებარების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმებით, ამტკიცებს შესაბამისი მმართველობის ადგილობრივი ორგანო.

6. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას ახორციელებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, სახელმწიფო მუნიციპალური დაქვემდებარების ქონებისა - მისი ტერიტორიული ორგანო. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ სახელმწიფო საკუთრების ქონების (აქციების გარდა) პრივატიზაციის უფლება შესაძლებელია გადასცეს თავის ტერიტორიულ ორგანოებს.

7. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლება გადაიცემა მხოლოდ კონკურსის ფორმით.

მუხლი 4. სახელმწიფო ქონება, რომელიც პრივატიზაციას არ ექვემდებარება

სახელმწიფო ქონებიდან პრივატიზაციას არ ექვემდებარება:

ა) წიაღისეული, წყლის რესურსები, ტერიტორიული წყლები, კონტინენტური შელფი, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და სასაზღვრო ზონა, ტყის ფონდი, საჰაერო სივრცე, დაცული ან განსაკუთრებული წესით გამოსაყენებელი ბუნებრივი ტერიტორიები;

c) Methodically and organisationally leads and controls privatisation process in the country, reveals illegal decisions and facts in this sphere, takes measures to exclude them.

4. The Ministry of State Property Management and its territorial bodies can act through their representatives (attorneys) or mediators in the process of management or privatisation of state property.

5. A list of units in state property liable to privatisation is approved by the Ministry of State Property Management of Georgia on the basis of agreement with the Ministry of Economy of Georgia and respective ministries and departments. The list of units in municipal property liable to privatisation is approved by respective governmental bodies in agreement with the Ministry of State Property Management.

6. Privatisation of state property is carried out by the Ministry of State Property Management, while privatisation of municipal property - by its territorial body. The Ministry of State Property Management is entitled to transfer its right on privatisation of state property (except stocks) to its territorial body.

7. The right on the management of state-owned stocks is transferred only in the form of competition.

Article 4. State Property Exempt from Privatisation

The following state property is not liable to privatisation:

a) Entrails, water resources, territorial waters, continental shelf, special economic and frontier zones, forest reserve, air space, protected or specially used natural territories;

ბ) დადგენილი წესით დამტკიცებული ისტორიულ-კულტურული და მხატვრული ფასეულობის ობიექტები, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის სახელმწიფო არქივები, კინო-ფოტო და ფონო დოკუმენტების სახელმწიფო ფონდი, სახელმწიფო მუზეუმები, თეატრები, საქართველოს სამინისტროების (უწყებების) სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების არქივები და ფონდები;

გ) სამობილიზაციო მარაგი, სახელმწიფო რეზერვი, ძვირფასი ლითონების მარაგი;

დ) ელექტროენერგეტიკული სექტორის გადაცემა-დისპეტჩერიზაციის სამსახურები;

ე) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ფუნდამენტური მეცნიერების დაწესებულებები, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები და მათდამი დაქვემდებარებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებსაც სახელმწიფო აფინანსებს;

ვ) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურების ნავმისადგომები, ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, შუქურები, შუქნიშნები და აკვატორია;

ზ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა, გზის მაგისტრალური მილსადენი, საავტომობილო გზები (პარალელური სახელმწიფო გზის არარსებობისას), თვითმფრინავების ფრენის მართვის სისტემები და ასაფრენ-დასაფრენი ზოლები;

თ) უშიშროების, შინაგან საქმეთა, თავდაცვის სამინისტროების, პროკურატურის, სასამართლოს სისტემის საშტატო და სარეზერვო ქონება;

ი) სიხშირეთა სპექტრი, სახელმწიფო საფოსტო კავშირის, რადიო-სატელევიზიო მაუწყებლობის, საქალაქთაშორისო-საერთაშორისო სატელეფონო კავშირის, სამთავრობო კავშირის საშუალებები და საქართველოს პოზიცია გეოსტაციონალურ ორბიტაზე;

კ) საწარმოები, რომლებიც ამზადებენ რადიოაქტიურ და სამხედრო დანიშნულების მასალებს, მათი საცდელ-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო დაწესებულებების ქონება;

ლ) სახელმწიფო სასაფლაოები და პანთეონები;

მ) სახელმწიფო წყალსადენის და საკანალიზაციო მეურნეობის ერთიანი სისტემა;

ნ) დადგენილი წესით დამტკიცებულ ნუს-

b) Historic and art monuments approved under established order, state archives of historic and cultural importance, state collection of film, photo and phono materials, state museums, theatres, archives and collections of ministries, departments, scientific-research institutes;

c) Mobilisation stores, state reserves, stores of precious metals;

d) Transmission and control systems of the electric power sector;

e) Institutions of the Academy of Sciences of Georgia working in fundamental sciences, state institutes of higher education and affiliated scientific-research institutes financed by the state;

f) Ports and landing piers of national importance, hydraulic engineering constructions, lighthouses and signal lights, water area;

g) Railways of national importance, gas manes, roads (in the case of non-existence of parallel state road), aircraft flight management systems and take-off and landing strips;

h) Main and reserve property of the Ministries of Security, Internal Affairs and Defence, Procurator's Office and the court system;

i) Frequency spectrum, state postal communications, TV-radio broadcasting, trunk-line and international telephone communications, means of governmental communications and position of Georgia on the geo-stationary orbit;

j) Enterprises producing radioactive materials and materials for military purposes, property of affiliated test-experimental and scientific institutions;

k) State cemeteries and pantheons;

l) Unified state system of water supply and waste water disposal facilities;

m) State medical institutions of vital impor-

ხაში შემავალი სასიცოცხლო მნიშვნელობის სახელმწიფო საძეგლები დაწესებულებები;

ო) სახელმწიფო ორგანოთა ადმინისტრაციული შენობები.

მუხლი 5. მუშაკთა სოციალური გარანტია და შეღავათი

1. საწარმოს მუშაკთა ინტერესების დაცვის მიზნით, პრივატიზების შესახებ განაცხადის წარდგენის შემდეგ (პრივატიზების ინიციატორის მიუხედავად), მყიდველის მიერ საკუთრების უფლების შექენამდე, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე, იკრძალება:

ა) საწარმოს რეორგანიზება ან ლიკვიდაცია;

ბ) საწარმოს საშტატო განრიგის ცვლილება და მუშაკთა რაოდენობის შემცირება ან გაზრდა;

გ) ძირითადი ფონდების გაყიდვა ან გაცვლა, ქირით ან იჯარით გაცემა, გირაოში ჩადება, მათ გამოყენებაზე ადრე დადებული რაიმე ხელშეკრულების მოქმედების შეცვლა ან შეწყვეტა.

2. საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნების მომენტიდან მუშაკებს უსასყიდლოდ ერთდროულად გადაეცემათ მთლიანი საწესდებო კაპიტალის 10 %-მდე აქციები, მაგრამ არა უმეტეს საქართველოში არსებული მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობისა, ერთ მუშაკზე გაანგარიშებით. აღნიშნული შეღავათი ეხებათ:

ა) იმ მუშაკებს, რომლებსაც ძირითად სამუშაო ადგილს;

ბ) იმ პირებს, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვთ დაბრუნდნენ ამ საწარმოში;

გ) პენსიონერებს, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ ამ საწარმოდან არანაკლებ 5 წლის მუშაობის შემდეგ;

დ) იმ პირებს, რომლებიც ამ საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნებამდე 1 წლით ადრე შეამცირეს და რეგისტრირებული არიან როგორც უმუშევრები.

3. საწარმოს მყიდველი ვალდებულია საკუთრების უფლების გაფორმებიდან 3 თვის

tance included in the lists approved according to established order;

n) Premises of state bodies;

Article 5. Social Guarantees and Privileges for Employees

1. With the purpose of protection of interests of the employees working at an enterprise, after submission of a privatisation application (whoever the initiator of privatisation) and prior to the purchase of property, the following is prohibited, unless agreed with the Ministry of State Property Management:

a) Reorganisation and liquidation of the enterprise;

b) Change of staff list, and decrease and increase of the number of employees;

c) Sale, exchange, rent, lease or mortgage of capital assets, cessation or change of any agreement on their use, concluded before;

2. At the moment of transformation of the enterprise into a stock company the employees are handed over free of charge 10 % of stocks of the whole capital assets, not exceeding the hundred times of minimal wages established in Georgia, calculated for one employee. The mentioned privilege applies to:

a) the employees, whose main job is at this enterprise;

b) the persons, who have the right to return to the enterprise, as provided by legislation in force;

c) the pensioners, who have retired from the enterprise after having worked there for not less than five years;

d) the employees, who were dismissed one year prior to transformation of the enterprise into stock company and are registered as unemployed;

3. The purchaser of the enterprise is obliged to conclude an agreement with employees

ვადამი მუშაკებთან დადოს ხელშეკრულება, რომელშიც შეიტანება შრომის ორგანიზაციასთან, ანაზღაურებასა და დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

4. საწარმოს მყიდველის ინიციატივით გათავისუფლებული მუშაკების ერთდროული დახმარების ოდენობა და მათი შრომითი მოწყობა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II. პრივატიზების წესი და ფორმები

მუხლი 6. სახელმწიფო ქონების პრივატიზების ფორმები

1. პრივატიზება ხდება კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმით ქონების შესყიდვით.

2. კონკურსის ფორმით გაყიდვის მიზანია ქონებაზე საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც გამყიდველს ყველაზე უკეთეს პირობებს შესთავაზებს.

3. აუქციონის ფორმით ქონების გაყიდვის მიზანია საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ მყიდველს, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

4. სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გაყიდვის მიზანია გამოსყიდვამდე მატერიალური ფასეულობის ვადიანი და სასყიდლიანი მფლობელობა და სარგებლობა სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვისათვის.

5. პირდაპირი ფორმით გაყიდვის მიზანია გასაყიდი ქონების თავისებურებებიდან გამომდინარე ინვესტიციების მოზიდვა წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის საფუძველზე.

6. სახელმწიფო ქონების პრივატიზების ფორმების გამოყენებაზე გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო, ხოლო პირდაპირი მიყიდვის საკითხს წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი.

7. სახელმწიფო ქონების პრივატიზების ცალკეული ფორმების დებულებას ამტკიცებს

within 3 months after registration of the property right. Obligations connected with labour organisation, remuneration and protection must be included in it.

4. The amount of one-time allowance for the employees dismissed by the purchaser's initiative and their further employment is determined in accordance with legislation in force.

Chapter II. Order and Forms of Privatisation

Article 6. Forms of State Property Privatisation

1. Privatisation is carried out by competition, auction, lease-redemption or direct purchase of property.

2. The purpose of sale by competition is to give property right to the purchaser who bids the best terms to the seller.

3. The purpose of sale by auction is to give the property right to the purchaser who bids the best price in the process of sale.

4. The purpose of sale by lease-redemption is a temporary and paid ownership and use of the material value for independent economic activity prior to redemption.

5. The purpose of direct sale is an attraction of investments proceeding from the peculiarities of the property for sale and basing on the proposed business plan.

6. The Ministry of State Property Management or its territorial body makes a decision on the form of privatisation, while the President of Georgia decides the matter of direct purchase.

7. Regulations on the forms of state property

სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. საპრივატიზებო ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესი

1. საპრივატიზებო ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის წესს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

2. სახელმწიფო ქონების კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების დროს ქონების გასაყიდი ფასი დგინდება საკონკურსო საწყისებზე.

3. შექნილ ქონებაზე ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს ერთიანად ან განვადებით.

4. სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზებისას მყიდველმა საბოლოო თანხა უნდა დაფაროს არა უმეტეს 2 წლის ვადისა.

5. სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას მყიდველმა საბოლოო თანხა უნდა დაფაროს არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადისა.

6. იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზებისას მყიდველმა თანხა უნდა გადაიხადოს საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 10 წლის ვადისა.

7. პირდაპირი ფორმით პრივატიზებისას მყიდველი თანხას იხდის ერთიანად. გადაწყვეტილების მიღებიდან არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადისა.

8. თუ არ მოხდა კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით ორჯერ გამოტანილი სახელმწიფო ქონების პრივატიზება, მისი საწყისი ფასი მცირდება 50 % - ით.

მუხლი 8. პრივატიზებიდან შემოსული თანხის განაწილება

1. სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან შემოსული თანხის გამოყენების პრიორიტეტული მიმართულებებია:

ა) მცირე ბიზნესში წარმოების განვითარების ღონისძიებათა დაფინანსება;

ბ) წარმოების სფეროში ახალი სამუშაო

privatisation is approved by the Minister of State Property Management in compliance with legislation in force.

Article 7. Determination of Initial Price of the Property to be Privatised and Payment Order

1. Order of determination of the initial price is approved by the President of Georgia.

2. In the case of privatisation of state property by competition, auction and lease-redemption, the sale price is established on the competitive basis.

3. Payment can be made at once or by instalments.

4. In the case of privatisation of state property by competition the purchaser must make the final payment within 2 years at least.

5. In the case of privatisation of state property by auction the purchaser must make the final payment not later than 30 calendar days.

6. In the case of privatisation by lease-redemption the purchaser must make payment not later than 10 years after registration of a leasing agreement.

7. In the case of direct privatisation the purchaser makes the payment at once, not later than 30 calendar days after making of a decision.

8. If the property put up twice to the sale by competition, auction, lease-redemption has not been privatised, its initial price is reduced by 50 per cent.

Article 8. Distribution of Sums Gained from Privatisation

1. The priority trends of the use of sums gained from state property privatisation:

a) development financing of small business in production;

b) financing of measures of creation of new

ადგილების შექმნის ღონისძიებათა დაფინანსება;

გ) პრივატიზების ჩატარების ორგანიზაციული ხარჯების დაფინანსება;

დ) გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფინანსება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.

2. სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან შემოსული თანხის განაწილების თანაფარდობას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. ინფორმაცია საპრივატიზებო ქონების შესახებ

1. კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის და პირდაპირი მიყიდვის ფორმით საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში ან ადგილობრივ პრესაში (თუ პრივატიზებას ახდენს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო). ამასთან, შეიძლება ინფორმაციის სხვა საშუალებათა გამოყენებაც.

2. ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის და პირდაპირი მიყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების დათქმულ თარიღამდე სულ ცოტა ერთი თვით ადრე.

3. გამოქვეყნებულ ცნობებში შეიტანება, საპრივატიზებო ობიექტის მიერ დაკავებული მიწის ფართობი, მასზე განთავსებულ ნაგებობათა დახასიათება, მისამართი და ობიექტის გაყიდვის პირობები. საჭიროების შემთხვევაში მყიდველს მიეწოდება დამატებითი ინფორმაცია.

თავი III. გარიგებათა გაფორმების წესი

მუხლი 10. პრივატიზების შესახებ გარიგების გაფორმება

1. კონკურსით, აუქციონით და პირდაპირი მიყიდვით პრივატიზებისას მყიდველსა და გა-

jobs in production sphere;

c) defraying of organisational expenses of carrying out of privatisation;

d) defraying of unforeseen expenses by the decision of the President of Georgia.

2. The ratio of distribution of sums gained from state property privatisation is determined by the President of Georgia in compliance with legislation in force.

Article 9. Information on Property to be Privatised by Competition, Auction, Lease-Redemption and Direct Sale

1. Information on state property to be privatised by competition, auction, lease-redemption and direct sale is published in the official publication of the Ministry of State Property Management or in the local press (where privatisation is carried out by a local body of the Ministry of State Property Management). At the same time, other information means can be used as well.

2. Information must be published at least one month prior to the established date of privatisation of state property by competition, auction, lease-redemption, direct sale.

3. Published data must encompass information on the land area occupied by the unit to be privatised, description of constructions located there, addresses and terms of sale. Additional information is provided to the purchaser in case of need.

Chapter III. Order of Closing of Transaction

Article 10. Closing of Transaction on Privatisation

1. A notarised sale-purchase agreement is concluded between the seller and the purchaser

მყიდველს შორის ფორმდება სანოტარო წესით დამოწმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზებისას კი - საიჯარო ხელშეკრულება.

2. ხელშეკრულებაში შეიტანება: ცნობები გამყიდველისა და მყიდველის შესახებ, ქონების დასახელება, შემადგენლობა და ფასი, მხარეთა მისამართები, მყიდველის ვალდებულება პრივატიზებული ქონების შემდგომი გამოყენების შესახებ.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი წესით პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდეგ. საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი გაიცემა თანხის მთლიანად გადახდის დადასტურებიდან 2 თვის ვადაში.

4. სახელმწიფო ქონების მყიდველი ხდება შექმნილი ქონების სამართალმემკვიდრე აქციების, წილის მყიდველის სამართალმემკვიდრეობა განისაზღვრება საწესდებო კაპიტალში მისი წილის პროპორციულად.

მუხლი II. პრივატიზების შესახებ გარიგებათა ბათილობა

1. პრივატიზებასთან დაკავშირებულ სადაო და ბათილად ცნობის საკითხებს განიხილავს სასამართლო.

2. პრივატიზების გარიგებათა ბათილად ცნობის უფლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

3. პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული სადაო საკითხების განხილვის ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი.

4. პრივატიზებული სახელმწიფო ქონების დოკუმენტაციის კანონიერებას ამოწმებს მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატა კოორდინირებული წესით, სათანადო სპეციალისტების მონაწილეობით. სახელმწიფო ქონების მართვის ცენტრალურ და რეგიონალურ სტრუქტურებში. უშუალოდ პრივატიზებულ საწარმოში ცალკეული საკითხების გადამოწმება შეიძლება გამონაკლის შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და მისი ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელთა მონაწილეობით, გარდა საპროცესო კანონმდებლობით დადგე-

in the case of privatisation by competition, auction and direct sale. In the case of privatisation by lease-redemption - a leasing agreement is concluded.

2. The agreement encompasses data on the seller and the purchaser, name of the property, its composition and price, addresses of parties, obligation of the purchaser on the further use of privatised property.

3. In the case of privatisation by forms listed in point 1 of this Article the property right is transferred to the purchaser after issuance of a certificate of property. The certificate of property is issued within 2 months after the confirmation on full payment is received.

4. The purchaser of state property becomes a successor of purchased property. The purchaser's succession right is proportional to his share in the authorised capital.

Article 11. Invalidity of Transactions on Privatisation

1. Disputes connected with privatisation and its invalidation are considered by the Court.

2. Legal and property outcomes of invalidation of privatisation transactions are determined by the legislation of Georgia.

3. Prescription term of disputes connected with state property privatisation is three years.

4. Legal nature of instruments on privatised state property is controlled by the Chamber of Control of Georgia only under co-ordinated order and with the participation of respective specialists. In exceptional cases control over separate matters in central and regional bodies of state property management and in the enterprise itself can be carried out through participation of representatives of the Ministry of State Property Management of Georgia and its territorial body. Besides the order established by Law of Procedure, transfer of information, connected with financial fortune - stocks, share

ნილი წესისა. ფიზიკური ან იურიდიული პირის ფინანსებთან - აქციები, წილი - დაკავშირებული ინფორმაციის გაცემა, თვით ამ პირის გარდა, შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

თავი IV. გარდამავალი დებულებები

მუხლი 12. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები

1. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო შეიმუშავებს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს:

ა) პრივატიზების განხორციელების ერთიანი გეგმის პროექტს ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით;

ბ) საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის წესს.

2. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი ამტკიცებს დებულებებს:

ა) სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით პრივატიზების შესახებ;

ბ) სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ;

გ) სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ;

დ) სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ;

ე) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლების კონკურსის ფორმით გადაცემის შესახებ.

3. საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში მოამზადონ და საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარუდგინონ წინადადებები პრივატიზების პროცესში (1993 წლის 1 აპრილამდე) ანაბრების მფლობელთა მონაწილეობის მიზანშეწონილობისა და მექანიზმის თაობაზე.

- of a legal or physical person to anyone, except himself, is allowed only under the decision of the Court.

Chapter IV. Transitional Provisions

Article 12. List of Normative Acts to be Approved in Connection with Enactment of this Law

1. The Ministry of State Property Management of Georgia shall work out and submit for approval to the President of Georgia within 3 months after enactment of this Law:

a) a Unified Program of privatisation by sectors of national economy;

b) The order of determination of initial price on state property to be privatised.

2. The Ministry of State Property Management shall approve the following Regulations within 3 months after enactment of this Law:

a) On Privatisation of State Property by Competition;

b) On Privatisation of State Property by Auction;

c) On Privatisation of State Property by Lease-Redemption;

d) On Privatisation of State Property by Direct Sale;

e) On Transfer by Competition of the Right of Management of State-Owned Stocks.

3. The Government of Georgia and National Bank must prepare and submit for consideration to the Parliament of Georgia proposals on expediency and forms of participation in privatisation of depositors (until April 1, 1993) within 2 months after enactment of this Law.

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 13. კანონის ამოქმედება და გასაუქმებელი აქტების ნუსხა

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნების-თანავე.

2. ამ კანონის ამოქმედების დღიდან ძალ-ადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 9 აგვისტოს №342-ის დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე" ("საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები", 1991 წ., №8, მუხ. 583);

ბ) საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 9 აგვისტოს კანონი "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" ("საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები", 1991 წ., №8, მუხ. 582);

გ) საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 6 აპრილის №209-ის დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისათვის 1993 წლის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების უფლების დელეგირების შესახებ" ("საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წ. 6, მუხ. 84);

დ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 26 ნოემბრის №238 ბრძანებულება "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და ნაწილობრივი ცვლილებების შესახებ";

ე) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 11 აპრილის №184 განკარგულება "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის პროცესის სრულყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ";

Chapter V. Final Provisions

Article 13. Enactment of the Law and List of Acts Subject to Invalidation

1. This Law enters into force upon promul-
gation

2. As of enforcement of this Law to invali-
date:

a) Resolution No. 342-Is of the Supreme Council of the Republic of Georgia of August 9, 1991 "On Enactment of the Law of the Republic of Georgia On Privatisation of State-Owned Enterprises in the Republic of Georgia" (Sakartvelos Respublikis Uzenaesi Sabchos Utskhebebi, 1991, No. 8, art. 583);

b) Law of the Republic of Georgia of August 9, 1991 "On Privatisation of State-Owned Enterprises in the Republic of Georgia" (Sakartvelos Respublikis Uzenaesi Sabchos Utskhebebi, 1991, No. 8, art. 582);

c) Resolution No. 209-Is of the Parliament of Georgia of April 6, 1993 "On Delegation of the Right to Approve the List of Units to Be Privatised in Accordance with the State Program of 1993 to the Cabinet of Ministers of the Republic of Georgia" (Sakartvelos Respublikis Parlamentis Utskhebebi, 1993, No. 6, art. 84);

d) Decree No. 238 of the Head of State of the Republic of Georgia of 26 November, 1993 "On Prolongation of Term and Making Amendments to the State Program of Privatisation of State-Owned Enterprises in the Republic of Georgia";

e) Decree No. 184 of the Head of State of the Republic of Georgia of April 11, 1994 "On Urgent Measures of Perfection of the Process of Privatisation of State-Owned Enterprises in the Republic of Georgia";

ვ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 22 ივნისის №120 განკარგულება "რესპუბლიკის რეგიონებში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესის მართვის ზოგიერთი საკითხის შესახებ";

ზ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 26 აგვისტოს №278 ბრძანებულება "დაუმთავრებელ მშენებლობათა პრივატიზების დამატებით ღონისძიებათა შესახებ";

თ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 17 იანვრის №13 ბრძანებულება "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამაში 1995 წლისათვის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ";

ი) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 13 მარტის №63 ბრძანებულება "მასობრივი პრივატიზაციის განხორციელების უზრუნველყოფის ორგანიზაციულ - ეკონომიკური ღონისძიებების შესახებ";

კ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 11 ივნისის №228 ბრძანებულება "სახელმწიფო პოლდინგური კომპანია "საქნავთობპროდუქტების" შექმნის შესახებ";

ლ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 21 ივნისის №88 განკარგულება "მასობრივი პრივატიზაციის სრულყოფისა და მასში საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ";

მ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 21 ივნისის №250 ბრძანებულება "ქუთაისში არასაცხოვრებელი ფართობების პრივატიზაციის დაჩქარებისა და უძრავი ქონების მართვის მოწესრიგების შესახებ";

ნ) საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 27 სექტემბრის №209 განკარგულება "სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის პროცესის შემდგომი დაჩქარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ";

ო) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 20 მაისის დეკრეტი "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ";

ფ) Decree No. 120 of the Head of State of the Republic of Georgia of June 22, 1994 "On Certain Problems of the Management of the Process of Privatisation of State Property in the Regions of Georgia";

გ) Decree No. 278 of the Head of State of the Republic of Georgia of August 26, 1994 "On Additional Measures of Privatisation of Unfinished Buildings";

დ) Decree No. 13 of the Head of State of the Republic of Georgia of January 17, 1995 "On Making Amendments and Addenda to 1995 in the State Program of Privatisation of State-Owned Enterprises in the Republic of Georgia";

ე) Decree No. 63 of the Head of State of the Republic of Georgia of March 13, 1995 "On Organisational and Economic Measures of Provision of Carrying out of Mass Privatisation";

ვ) Decree No. 228 of the Head of State of the Republic of Georgia of June 11, 1995 "On Foundation of the State Holding Company "Saknavtobproduktebi";

ზ) Decree No. 88 of the Head of State of the Republic of Georgia of June 21, 1995 "On Perfection of Mass Privatisation and Measures of Provision of Georgian Citizens' Participation in it";

თ) Decree No. 250 of the Head of State of the Republic of Georgia of June 21, 1995 "On Acceleration of Non-Residential Space Privatisation and Regulation of Management of Real Estate in Kutaisi";

ი) Decree No. 209 of the Head of State of the Republic of Georgia of September 27, 1994 "On Additional Measures of Acceleration of the Process of Privatisation of State-Owned Enterprises";

კ) Decree of the State Council of the Republic of Georgia of 20 May, 1992 "On the State Committee of State Property Management in the Republic of Georgia";

პ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 5 მარტის №268 დადგენილება "პრიატიზაციის პროცესის უზრუნველყოფის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ";

ჟ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 11 აგვისტოს №829 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრიატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ";

რ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 21 სექტემბრის №943 დადგენილება "სამინისტროებისა და უწყებებისათვის სახელმწიფო ქონების ფლობისა და სარგებლობის უფლებათა დელეგირების შესახებ";

ს) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის №287 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკაში საპრიატიზაციო ბარათების სისტემის შემოღების შესახებ";

ტ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 6 აგვისტოს №628 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკაში საპრიატიზაციო ბარათების სისტემის სამოქმედო შემოღების საკოორდინაციო საბჭოს და ტერიტორიული კომისიების შექმნის შესახებ";

უ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 20 აგვისტოს №634 დადგენილება "პოლდინგური კომპანიების (პოლდინგების) შექმნისა და საქმიანობის საფუძვლების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე";

ფ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 10 ოქტომბრის №725 დადგენილება "ქ. რუსთავში საბინაოსაექსპლუატაციო ორგანიზაციების ბალანსზე რიცხულ შენობებში განთავსებული ობიექტების პრიატიზების პროცესის მოწესრიგების შესახებ";

ქ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 17 ნოემბრის №809 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრიატიზაციის სახელმწიფო პროგრამის მოქმედების ვადის გაგრძელებისა და ნაწილობრივ შეცვლის შესახებ";

ღ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 დეკემბრის

o) Resolution No. 268 of the Government of the Republic of Georgia of March 5, 1992 "On Certain Measures of Provision of Privatisation";

p) Resolution No. 829 of the Government of Georgia of August 11, 1992 "On State Program of Privatisation of State-Owned Enterprises in the Republic of Georgia";

q) Resolution N 943 of the Government of Georgia of September 21, 1992 "On Delegation of the Right to Own and Use State Property to the Ministries and Departments";

r) Resolution No. 287 of the Cabinet of Ministers of the Republic of Georgia of April 14, 1993 "On Introduction of Privatisation Securities in the Republic of Georgia";

s) Resolution No. 628 of the Cabinet of Ministers of the Republic of Georgia of August 6, 1993 "On Foundation of Co-ordinating Board and Territorial Commissions of Putting into Operation Privatisation Securities in the Republic of Georgia";

t) Resolution No.634 of the Cabinet of Ministers of August 20, 1993 "On Approval of Regulations on Foundation and Principles of Operation of Holding Companies";

u) Resolution No. 725 of the Cabinet of Ministers of October 10, 1994 "On Regulation of Privatisation of the Units Located in Buildings Registered in the Lists of Dwelling Maintenance Organisations in Rustavi";

v) Resolution No. 809 of the Cabinet of Ministers of the Republic of Georgia of November 17, 1993 "On Prolongation of Term and Making Amendments to the State Program of Privatisation of State-Owned Enterprises in the Republic of Georgia";

w) Resolution No. 916 of the Cabinet of Ministers of December 31, 1994 "On Making

№916 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამაში 1995 წლისათვის ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ";

ე) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 18 იანვრის №14 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის სამოქმედოდ შემოღების ღონისძიებათა შესახებ";

შ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 18 იანვრის №20 დადგენილება "სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემისას საიჯარო ქირის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ";

ჩ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 10 მარტის №128 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საბინაო საექსპლუატაციო ორგანიზაციების ბალანსზე რიცხულ არასაცხოვრებელ ფართობებში განთავსებული ობიექტების პრივატიზების დაჩქარების შესახებ";

ძ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 10 მაისის №248 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტ "საკვაზის" საწარმოებისა და ორგანიზაციების აქციონირებისა და პრივატიზაციის დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ";

წ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 6 ივნისის №329 დადგენილება "პრივატიზაციის სპეციალიზებული (საბარათო) საინვესტიციო ფონდების შესახებ".

3. ამ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის ა), ბ) და გ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დებულებების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 იანვრის №42 დადგენილება "სახელმწიფო (მუნიციპალურ) საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების კონკურსით გაყიდვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე", საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 29 მაისის №612 დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფოთა საწარ-

Amendments and Addenda to 1995 to the State Program of Privatisation of State-Owned Enterprises in the Republic of Georgia";

x) Resolution No. 14 of the Cabinet of Ministers of the Republic of Georgia of January 18, 1995 "On Measures of Putting into Operation of Privatisation Securities in the Republic of Georgia"

y) Resolution No. 20 of the Cabinet of Ministers of January 18, 1995 "On Determination of Lease Rent and Order of the Payment on Leased State-Owned Property";

z) Resolution No. 128 of the Cabinet of Ministers of the Republic of Georgia of March 10, 1995 "On Acceleration of Privatisation of the Units Located in Non-residential Spaces Registered in the Lists of Dwelling Maintenance Organisations of Local Authorities in the Republic of Georgia";

z(1) Resolution N 248 of the Cabinet of Ministers of May 10, 1995 "On Transformation into Stock Companies of the Enterprises and Organisations of the Department "Sakgazi" and Acceleration of Their Privatisation in the Republic of Georgia";

z(2) Resolution No. 329 of the Cabinet of Ministers of the Republic of Georgia of June 6, 1995 "On Specialised Investment (Bond) Privatisation Funds."

3. As of entering into force of provisions envisaged by subpoints a), b), c) of Article 12.2 of this Law to consider invalidated: Resolution N 42 of the Cabinet of Ministers of the Republic of Georgia of January 21, 1994 "On Approval of Regulations on the Sale by Competition of Units in State (Municipal) Ownership Liable to Privatisation" and Resolution No.612 of the Government of the Republic of Georgia "On Approval of Regulations Related to the Enactment of the Law of the Republic of Georgia "On Privatisation of State-Owned Enterprises in the Republic of Georgia and Resolu-

მთა პრივატიზების შესახებ" საქართველოს
რესპუბლიკის კანონის მიღებასთან დაკავშირე-
ბით დებულებათა დამტკიცების თაობაზე" და
საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 20
სექტემბრის დადგენილება "სახელმწიფო
ქონების იჯარით გაცემის დებულების
დამტკიცების შესახებ" (საქართველოს პარლა-
მენტის უწყებები, 1994 წ., №20 მუხ. 431).

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე
თბილისი,
1997 წლის 30 მაისი
743 - IIს

tion of the Parliament of Georgia of September
20, 1994 "On Approval of Regulations on
Lease of State Property" (Sakartvelos Parla-
mentis Utskhebebi, 1994, No.20, art. 431).

President of Georgia
Eduard Shevardnadze
Tbilisi,
May 30, 1997
N 743-IIს